შპს "ალტერნატივა გრუპი"

თბილისი, დავით აღმაშენებლის 147ა, ტ.593317261, kvalikvali@yahoo.com

ქ. თბილისში კოსტავას ქ.№71-ში I სართულზე შპს "ხიდის თავის" კუთვნილებაში არსებული ფართის მცირე რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესაძლებლობის განსაზღვრის ტექნიკური გამოკვლევა

2023 წლის 19 ივლისი

დირექტორი ლ. ტყეშელაშვილი



ქ. თბილისში კოსტავას ქ. #71 შენობის ვიზუალური ტექნიკური გამოკვლევა უკავშირდება მის პირველ სართულზე შპს „ხიდის თავი“-ს კუთვნილ ფართში დაგეგმილ მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

საკვლევი ობიექტი მე-20 საუკუნის შუა პერიოდში ნაგები შენობაა, იგი გეგმაში „Г“-სებრი მოხაზულობისაა, ძირითადი ნაწილი ხუთსასართულიანია, კუთხის სივრცეში ექვსართულიანი. პირველი სართულის სიმაღლე მნიშვნელოვნად აღემატება დანარჩენებისას და რამდენადაც სახლი ნაშენია დახრილ რელიეფზე მისი გარკვეული მოცულობა რელიეფის ზედაპირის ქვემოთაა ჩაღრმავებული.



შენობა არქიტექტურულ ძეგლს წარმოადგენს, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ფსადზე არსებული არქიტექტურული დეტალები: კოლონადაზე დაფუძნებული თაღოვანი აივნები, მეორე სართულის ტერასები, სხვადასხვა ნიშნულებზე მოწყობილი ლავგარდანები, შენობის მოცულობაში შეჭრილი თაღოვანი და სწორკუთხა ფორმის აივნები, კუთხის კოშკისებრი მოცულობა და სხვა.









შენობის ძირითადი მზიდი კონსტრუქციები გრძივი და განივი კედლებია, ისინი მონოლითური ბეტონისაა, ძირითად ღეძებზე გვხვდება მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩოვანი ჩანართებიც. შენობის საძირკვლები ლენტურია, რკინაბეტონის. მონოლითური რკინაბეტონის სართულშუა გადახურვები მზიდ კედლებზე და ჩარჩოვანი ჩანართების ძირითად და დამხმარე კოჭებზეა მოწყობილი.





















როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ქ. თბილისში კოსტავას ქ. #71 შენობის ვიზუალური ტექნიკური გამოკვლევა უკავშირდება მის პირველ სართულზე შპს „ხიდის თავი“-ს კუთვნილ ფართში დაგეგმილ მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებს. რეაბილიტაციით გათვალისწინებული სამუშაოები ასახულია შპს „არქიტექტორები“-ს მიერ დამუშავებულ გრაფიკულ მასალაში, რომელიც კვლევის მიმართულების დავალებას წარმოადგენს. კონცეფცია ითვალისწინებს:

- პირველი სართულის მზიდ კედლებში ხუთი ახალი ღიობის მოწყობას;
- პირველი სართულის მზიდ კედლებში არსებული ოთხი კარის ღიობის შევსებას;

- პირველი სართულის მზიდ კედლებში არსებული სამი მცირე გაბარიტიანი სარკმლის ღიობის შევსებას.

ზემოაღნიშნული ლოკაციები დაფიქსირებულია არქიტექტორების მიერ დამუშავებულ გრაფიკულ მასალაში - დავალებაში, რომელიც თან ახლავს დასკვნას დანართის სახით.

ქ. თბილისში კოსტავას ქ.#71 შენობის პირველ სართულზე შპს „ხიდის თავის“კუთვნილ ფართში დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოები ტექნიკური თვალსაზრისით დასაშვებია, იგი შენობის საერთო ტექნიკურ მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას არ იქონიებს.

სამუშაოები უნდა განხორციელდეს წინასწარ ამ მიზნით დამუშავებული კონსტრუქციული პროექტის მიხედვით, რომელსაც საფუძვლად დაედება კვლევის შედეგები და რებილიტაციის პროექტის არქიტექტურული დავალება.

კონსტრუქტორი,

აკადემიური დოქტორი დავით რამიშვილი